აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

2026 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 138-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი.

2. უმაღლესი საბჭოს 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი განისაზღვროს **10 113 570** ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) ხარჯები **8 770 570** ლარი:

ა.ა) შრომის ანაზღაურება **5 978 532** ლარი;

ბ) არაფინანსური აქტივების ზრდა **1 343 000** ლარი.

3. უმაღლესი საბჭოს მომუშავეთა რიცხოვნობა განისაზღვროს **117** საშტატო ერთეულით.

4. აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული თანხები გათვალისწინებულ იქნეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტში.

5. დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

ბათუმი,

2025 წლის 29 მაისი

№33-IIს